პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღე

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 სექტემბერი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 207 (15420)

# კადრების ალზრდა

ბოლშევიკური მშენებლობის მასშტაბებისა და ამოცანათა სირთულის მატების კვალობაზე სულ უფრო იზრდება ითხოვნები ხელმძღვანელი კადრებისადმი. „ცხოვრებას რომ არ ჩამორჩენენ, — აღნიშნა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — მთელი ჩვენი კადრები გამუდმებით უნდა სწავლობდნენ. ამაღლებდნენ თავიანთ იდეურ-თეორიულ დონეს, იუფლებდნენ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს". ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ხელმძღვანელში შერწყმული იყოს იდეური რწმენა და მაღალი ზნეობრივი თვისებები, პარტიული პრინციპულობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, ფართო თვალთახედვა და პროფესიული კომპეტენტურობა, ახლის გრძნობა და შემოქმედებითი მიდგომა დავალებული საქმეებისადმი, საჭიროა, რომ იგი იყოს უნარიანი ორგანიზატორი და მასების აღმზრდელი.

თვითეული ხელმძღვანელი მოწოდებულია საფუძვლიანად და ყოველმხრივ იცნობდეს ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, პარტიის დოკუმენტებს, თეორიულ პრობლემებსა და პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა. კადრების იდეურობა უნდა ვლინდებოდეს დაუცხრომელი პარტიული მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. იდეურობა და პარტიულობა მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალიზმისათვის უცხო წარსულის გადმონაშთებისადმი, კომუნისტური მსოფლმხედველობის და მორალის ანტაგონიზმებისადმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებასთან.

თანამედროვე პირობებში იზრდება კადრების ეკონომიური მომზადების როლი. ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა სწავლების ერთიანი სისტემა დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთი წლის წინათ მიღებულ დადგენილებაში „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ". თუ არ გვექნა საფუძვლიანი ცოდნა ეკონომიკის დარგში, უნარი ეკონომიურად ვიაზროვნოთ, მეცნიერულად დავსაბუთოთ და სწორად შევფასოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა, ვერ მივაღწევთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. საზოგადოებრივი წარმოების მართვის სრულყოფასა და მის ინტენსიფიკაციას, ხელმძღვანელთა ნაწილი კი მხოლოდ პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა, სუსტად ეუფლება მართვის, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს. ზოგიერთი პარტიული ორგანო თავისით ჩამოსცილდა სამინისტროთა, უწყებათა და დაწესებულებათა მუშაკების ეკონომიური სწავლების ხელმძღვანელობას.

ამოცანა ის არის, რომ მთელი ჩვენი კადრები შემოქმედებითად სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ თეორიას, პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, უუფლებოდნენ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს, უნარიანად იყენებდნენ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, სწავლას უხამებდნენ ბრძოლას წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გამუდმებით იზრუნონ ყველა მუშაკის ეკონომიური განათლებისათვის, რა თანამდებობაც უნდა ეკავოთ მათ, იმისათვის, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრები აქტიურად მონაწილეობდნენ მშრომელებს შორის ეკონომიური ცოდნის გავრცელებაში.

სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა სწავლება მკაცრად დიფერენცირებული უნდა იყოს და ამასთან ითვალისწინებდეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების ხასიათს. რას უნდა მიეცეს ყურადღება უწინარეს ყოვლისა? პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო კადრებმა უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების, მისი განხორციელების. პრაქტიკული მეთოდების, მართვის მეცნიერების შესწავლას. სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლებმა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებმა — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფილოსოფიურ და სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებს. შემეცნების მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიას, მოაზრდი თაობის კომუნისტური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკას. მხატვრულმა ინტელიგენციამ — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და ესთეტიკის, თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს. ყველა მუშაკი უნდა აღიზარდოს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

კადრების თეორიული სწავლებისათვის ჩვენში უდიდესი შეწყობილობანი შეიქმნა. ახლა საჭიროა გავაუჯობესოთ მისი ორგანიზაცია. კიდევ უფრო უნდა ავამაღლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების როლი; უფრო აქტიურად ჩავაბათ კადრების აღზრდაში სამეცნიერო, კულტურული დაწესებულებანი, პროპაგანდის საშუალებანი. მაგრამ ამ ბოლო ხანებამდე, როგორც ეს აღინიშნა პარტიული კომიტეტების მთელ რიგ პლენუმებზე, კერძოდ პარტიის ტამბოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, პარტორგანიზაციათა ნაწილი სუსტად ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს კადრების პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების გაუჯობესების შესახებ. თეორიის დაუფლების ძირითადი მეთოდი კვლავაც თვითგანათლებაა. მაგრამ ზოგი მუშაკი იშვიათად მიმართავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, პარტიულ დოკუმენტებს, პარტიული კომიტეტები კი ზოგჯერ გვერდს უვლიან ასეთ ფაქტებს.

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა განსაზღვრად ახორციელებდნენ პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნას, რომ შერწყმული იყოს ხელმძღვანელთა სამეურნეო, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობა, რომ ისინი უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ვ. ი. ლენინის მითითება — ვიცხოვროთ მასების ზეაგულში, ვიცოდეთ მასის განწყობილებანი, ვიცოდეთ ყველაფერი. გვესმოდეს მასისა, შეგვეძლოს მისდამი მიდგომა, არ მოვწყდეთ მასებს. ხელმძღვანელი მუშაკები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ მიღებულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა აღმზრდელობითი შედეგები, ფლობდნენ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებს.

მორალური უფლება — იყოს ხელმძღვანელი. — აქვს მხოლოდ იმას, ვინც გამოირჩევა მაღალი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებებით. უფროხოლდება პარტიისა და ხალხის ნდობას, თავდადებული შრომით ამართლებს მას. ხელმძღვანელის სახელსა და პირად მაგალითზე ბევრად დამოკიდებულია ვითარება კოლექტივში, ცალკეული მუშაკთა ულირსი ქცევა, უხეშობა. შეურიგებლობა ქვემოდან ვრცელისადმი უარყოფითს გავლენას ახდენს მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე. დიდ პოლიტიკურ და მორალურ ზიანს გვაყენებს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ცდები — პასუხისმგებლობა აუშორონ თავიდან იქ, სადაც, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს, პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას.

მომავალი დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება — პარტიული დოკუმენტების გამოცვლა — ავალებს თვითეულ კომუნისტს კრიტიკულად შეაფასოს თავისი დამოკიდებულება პარტიული მოვალეობის შესრულებისადმი. თეორიული სწავლებისადმი ახლა პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებით უნდა ზრუნავდნენ ხელმძღვანელი კადრების იდეური წრთობის შემდგომი ამაღლებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიითა და მეთოდოლოგიით მათი შეიარაღებისათვის, უნერგავდენ მათ უნარს, რომ შემოქმედებითად გამოიყენონ მიღებული ცოდნა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

**ПРАВДА**

2 სექტემბრის მოწინავე.

# ხუთწლედი — ვადამდე!

შეჯიბრების მოწინავენი

## ახალი ქარხნის პირველი ნაბიჯები

**თელავი.** (საკ. კორ.). მდინარე ალაზნის ველზე „აჩინებულის" მიდამოებში ორიოდე წლის წინათ მწყობრში ჩადგა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი საწარმო — რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც ძირითადად ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის უშვებს მასალებს. მის გვერდით მწყობრში ჩადგა სავზათა მშენებლობის მანქანების შემკეთებელი ქარხანა. ქარხნის ეზოსა და უშველებელ საამქროებში ნახავთ მექანიზაციის ტრანსტიდან, „კოლხიდმშენიდან" თუ „ალაზანმშენიდან" მოსულ თვითმავალ სკრეპერებს, ექსკავატორებს და სხვა მძლავრ მანქანებს. აქ წარმოებს მათი შეკეთება, რის შემდეგაც კვლავ ეგზავნებიან ხუთწლედის მშენებლობათა ფრონტებზე.

აქვე უშვებენ ლითონკონსტრუქციებს, მიწის მთხრელი მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემისათვის ხელოვნური დაწვიმების 100-მილიმეტრიან დანადგარებს, რკინაბეტონის „ქარხნისათვის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყალიბებს. მოკლე დროში ათვისსა და უკვე შეუდგნენ წრიული სარწყავი აპარატების დამზადებას. ქარხანა წლის ბოლომდე 1.000 ცალ ასეთ აპარატს მისცემს სამშობლოს. ლითონკონსტრუქციების საამქრო ამჟამად საპასუხისმგებლო დავალების შესრულებაზე მუშაობს. „კოლხიდმშენის" დაკვეთით ამზადებს 200 კუბური მეტრი მოცულობის ავზებისათვის ასაწყობ კოშკებს. საამქროს კოლექტივი ცდილობს ვადაზე ადრე შეასრულოს ეს დავალება.

ამჟამად ქარხანაში 250-ზე მეტი კაცი ეწევა თავდადებულ შრომას მეცხრე ხუთწლედის პირმშოს ღირსებისათვის. ბევრი მათგანი ქარხნის ამუშავების პირველ დღეებშივე დადგა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო შრომითის ვახტზე და დავალებას 120-140 პროცენტით ასრულებს. მათ შორის უფრო მეტად ქეთინო ლორსი არიან გ. გამხვეტელაშვილი და რ. თოლიანი, ზეინკლები ზ. დემეტრაშვილი, ვ. ჯავახიშვილი და რ. ჩარბაძე, ელექტროშედუღებლები გ. ფოთოლაშვილი და ფ. ზოკორიძე, დურგალი გ. ფუთალიშვილი, მეთუნეები ვ. კარიანი და სხვები.

ქარხანამ წელს 500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და დაიალება 102,6 პროცენტით შესრულდა.

— წლიურ გეგმას 20-25 დეკემბრისათვის შეასრულებთ. — განაცხადა ქარხნის დირექტორმა თ. სულხანიშვილმა, — და სამშობლოს დიდძალ ზეგეგმით პროდუქციას მივიღებთ. ჯერ ქარხანას საბოლოოდ სიმძლავრისათვის არ მიუღწევია. ყველა საამქროს სრულად ამოქმედების შემდეგ მისი პროდუქციის მოცულობა 2.400 ათას მახითამდე გაიზრდება და 800-მდე მუშა იბრძოლებს სამშობლოს დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ქარხნის პირველი ნაბიჯები სასურველზე შეიგებით ჩასითდება. ერთი მიზნით შეკავშირებული სხვადასხვა გრის შვილები ცდილობენ რაც შეძლება მოკლე ვადაში ამოქმედონ ქარხნის სამძლავრეები და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

ა. თვალიაშვილი.

ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი. სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტის დღეებში ბათუმის მენავთობეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მოკავშირე რესპუბლიკების ალმებით.

გადაჭარბებით შესრულდა ნავთობპროდუქტების რეალიზაციის 8 თვის გეგმა, მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. ქარხნის ძირითადი უბნების ზუსტმა, აწყობილმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა ელექტროენერგიის, სათბობის ეკონომიის მიღწევა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტის დღეებში პროდუქციას მხოლოდ „ფრიადი" შეფასებით უშვებენ.

ქარხანაში ამაღლდა წარმოების კულტურა. პროდუქციის გამოშვების ბევრი პროცესი თითქმის მთლიანად ავტომატიზებულია. თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობით აღჭურვილია მართვის პულტები, მუშაობისათვის შექმნილია მუშაობის შემსუბუქებული პირობები, თამამ შეხაძლებელი გახადა ბევრად გაუმჯობესებულიყო დანადგართა მუშაობის უსაშიშროება და ხაიმედოობა.

**სურათებზე:** ზემოთ — სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი: № 15 საამქროს მეხელსაწყოე კონსტანტინე. დოხნაძე, 65-1 დანადგარის № 8 საამქროს უფროსი ინჟინერი ალნერი ჩინჩილაძე, № 2 საამქროს უფროსი ოპერატორი ედუარდ სულოევი. შუაში — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ერთ-ერთი დანადგარი.

**თავდადებულად** შრომობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს სსრ „მთავარგაზის" სამმართველოს მრავალრიცხოვანი კოლექტივი. იგი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეს ახალი შრომითი წარმატებებით ხვდება. რესპუბლიკის „მთავარგაზის" მეურნეობებისა და საწარმოების კოლექტივებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებები 1972 წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესასრულებლად.

**სურათზე:** ქვემოთ — გურჯაანის გაზგანმანაწილებელი სადგურის რეჯერვუარები.

ნ. ჯანასტასიევისა და ბ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სსრკ 50

სსრ კავშირის საახალწლო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

# მოკავშირე რესპუბლიკათა დღესასწაული

**სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დღესასწაული, მათი მიღწევების დათვალიერება იქნება მოკავშირე რესპუბლიკათა დღეები, რომლებიც გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 8 სექტემბრიდან 18 დეკემბრამდე სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით. საბელოვან წლისთავს ეძღვნება ახალი ექსპოზიციები და თემატური გამოფენები.**

— მკაფიოდ, ფართოდ უჩვენოს საბჭოთა კავშირის წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, მოძმე რესპუბლიკათა ცხოველმყოფელი კავშირი, ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის განვითარება — ასეთია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ამოცანა საიუბილეო წელს, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან ი. ბერსენევთან საუბარში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჯ. ჩერნიავევმა.

საიუბილეო ექსპოზიციაში ჩვენ გავდილობთ რაც შეიძლება სრულად ავსახოთ საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მეცხრე ხუთწლედის დავალებებს, ბელორუსი ამბანაგები, მაგალითად, ამზადებენ თემატურ გამოფენას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების შესახებ, რომელიც მოეწყობა პავილიონში „მარცვლეული". უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაციის საბჭოა ექსპოზიციის ეკაშენების სახალხო განათლების მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს. საინტერესო გამოფენას მოაწყობს ტაჯიკეთი. იგი გვიჩვენებს წარმატებებს სოფლის რაიონების მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში.

პავილიონში „მანქანათმშენებლობა" გაეცნობით რუსეთის სფსრ რესპუბლიკის და სხვა რესპუბლიკების წამყვან ჩარხსამშენებლო საწარმოთა მიღწევებს.

დღესასწაულის ესტაფეტას პირველი მიიღებს ესტონეთი — ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში. მას შეავლიან თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, რომელთა დღეებიც გაიმართება სექტემბერში. შემდეგ თავიანთ წარმატებებს გვიჩვენებენ სომხეთი, ლატვია, მოლდავეთი და ლიტვა. ნოემბერში — აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი და უზბეკეთი. საიუბილეო დათვალიერება დამთავრდება ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დღეებით.

რესპუბლიკათა დღეებიების შემადგენლობაში იქნებიან პარტიული, საბჭოთა და ხალხოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ლიტერატორები, ხელოვნების მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები. ისინი შეხვდებიან დელეგაციის ხალხგადამამუშავებლობის, საწარმოთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებს. ეს კონტაქტები ხელს შეუწყობენ მოკავშირე რესპუბლიკათა კოლექტივებთან მოსკოვის ოლქის მშრომელთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. სტუმრები წაიკითხავენ ლექციებს, გამართავენ საუბრებს, მონაწილეობას მიიღებენ ხალხთა მეგობრობისადმი, საბჭოთა ადამიანების პატრიოტული ტრადიციებისადმი მიძღვნილ საღამოებში.

დელეგაციათა შემოქმედებითი ანგარიშები იმ ექსპოზიციის ცოცხალი კომენტარი იქნება, რომელსაც სსრ კავშირის იუბილეისათვის აშენდება სრულიად საკავშირო გამოფენა. მისი შეხვალი განყოფილება მიგიღიონში „ცენტრალონ" აშენდება შინაარსს დავიზისას: „თავისუფალ რესპუბლიკათა ურღვევი კავშირი". აქ ნაჩვენებია ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის როლი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარება, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. 200 კვადრატული მეტრი ფართობის ელექტროფიცირებული რუკა კარგი ილუსტრაციაა ქვეყნის გიგანტური სამრეწველო ზრდისა: იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს რესპუბლიკათა ინდუსტრიულ პოტენციალზე, მათს წვლილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირის, ქვეყნის მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმატებათა ფართო პანორამა იქნება დარგების მიხედვით: მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის პავილიონებში. მაგალითად, ენერგეტიკის განყოფილება დამაჯერებლად გვიჩვენებს ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის სიძლიერეს, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ხვალინდელი დღე — დაგინახოთ ამ დარგის ძირითადი მიჯნები მეცხრე ხუთწლედში, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა. ძმური ურთიერთდახმარების მკაფიო მაგალითებს გვიჩვენებენ ექსპოზიციები ბრაატსკის, კრასნოიარსკის, უსტ-ილიმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ, ყამირი მიწებისა და მშიერი ველის, ჯამის ავტოკარხნის მშენებლობისა და ხუთწლედის სხვა მშენებლობათა შესახებ.

ეჭვი არ მეპარება, რომ დიდ ინტერესს გამოიწვევს ახალგაზრდობის მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების ცენტრალური გამოფენა. იგი შეაჯამებს ახალგაზრდა ნოვატორთა მიღწევების დათვალიერების ძირეული ეტაპების შედეგებს, რომელიც მონაწილეობა მიიღო 8 მილიონმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

იმედი გვაქვს, თქვა დასასრულ კ. ჰ. ჩერნიავევმა, რომ საიუბილეო ექსპოზიცია საბჭოების ქვეყნის მომავალ ხალხთა შთამაგონებელი შრომის, კომუნისტური მშენებლობის ფართო პერსპექტივების შესახებ ახალ სტიმულს მისცემს საბჭოთა ადამიანებს დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომაში.

## ეს დღეები სოფლად

# სენაჟი — გეგმის გადამეტებით

**სენაჟს** როგორც მაღალყუთიანან საკვებს წელს რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება მიექცა. გეგმით უნდა დამზადდეს 39.000 ტონა სენაჟი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით ეს სამუშაო გადაჭარბებით არის შესრულებული. დამზადებულია 50.267 ტონა, რაც დავალების 129 პროცენტს შეადგენს.

კარგად იმუშავეს ბარდაბნის რაიონის მშრომელებმა. მათ წელს დავალებით რესპუბლიკაში ყველაზე მეტი — 6.750 ტონა სენაჟი უნდა ამზადებინათ. ბაიონის საბჭოთა მეურნეობებმა მთელი ძალღონით იმუშავეს და უკვე მოიმარაგეს 14.670 ტონა სენაჟი, ეს გეგმის 217 პროცენტია.

წარმატებები აქვთ წითელწყაროელ მშრომელებს, რომლებმაც 8.552 ტონა სენაჟი დაამზადეს და ამით დავალებას 7.052 ტონით გადაჭარბეს.

მაღალყუთიანი საკვების სენაჟის დამზადების საქმეში კარგად იმუშავეს და დავალება გადაჭარბებით გაანადგეს ახალციხეს, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, კასპის, სიღნაღის, ყვარლის, მარნეულის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრი წყაროს რაიონებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

□

# ნანვერალი — 1.000 ჰექტარზე

**ახმეტა.** (სპეც. კორ.). რაიონის საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები თავთავიანი კულტურების მოსაგლის აღების პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ნაწვერალის ხვნა-თესვას და წარმატებასაც მიაღწიეს — მოკლე დროში 1.000 ჰექტარზე დათესეს სიმინდი, გეგმა კი 975 ჰექტარს ითვალისწინებდა. ნათესები შესანიშნავად აღმოცენდა. სათანადო მოვლა-პატრონობის შედეგად მეგვანე მასის უხვ მოსავალს მოელიან.

ნანაწვერალო სიმინდის თესვის დავალება გადაჭარბებით შესრულა ალვნის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც ნავარაუდევი 350 ჰექტარის ნაცვლად 433 ჰექტარი დათესა. მაგრამ საბჭოთა მეურნეობამ სიმინდი ნაწვერალზე 50 ჰექტარის მაგივრ დათესა 105 ჰექტარზე, მაღრაანის საბჭოთა მეურნეობამ 80-ის ნაცვლად — 90 ჰექტარზე.

□

# კომკავშირელთა გარჯის ნაყოფი

**მახარაძე.** (საკ. კორ.). სოფელ ძამითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ, კომკავშირელებმა (კომიტეტის მდივანი ნ. მუხაშავრია) სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება სანაკებოდ შეასრულეს, ვალდებულებით გათვალისწინებული 530 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და წარმოებას ჩააბარეს 560 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

თავი ისახელეს ახალგაზრდა მკრეფავებმა ლ. ჩხაიძემ, ნ. ტუღუშმა, გ. მუხაშავრიამ და სხვა მრავალმა. ძამითელ ახალგაზრდებს გადაწყვეტილი აქვთ ვალდებულების გადამეტებით მოკრიფონ ხუთ ტონა 200 ტონა ჩაის ნედლეული.

# რწყვის სიკეთე

**ხაშური** წვიმების შემდეგ ალაზნის ველზე გვალვა ჩამოდგა. ნათესებმა წყალი მოითხოვა, დარეულობამ მინდვრის მშრომელებმაც არ დააყოვნეს, წინასწარ მომზადებული არხების საშუალებით ნათესების რწყვა დაიწყეს. 35 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი ორჯერ მორწყეს და ახლა მესამედ რწყავენ. ისინი ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერის ნაცვლად 40 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მოიღებს ეარაუდობენ.

კოლმეურნეობის გამგეობამ მრწყველებად გამოცდილი კოლმეურნეები უ. ოსიტაშვილი და ვ. ხუციშვილი დამაყო, რომლებიც ბოლომდე ასრულებენ საქმეს.

ზ. კორგალიძე.

# ᲡᲙᲙᲞ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲤᲮᲕᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

**კორეის** შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 1 სექტემბერს მოსკოვიდან ფხენიანს გაემგზავრა სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ე. ბანიკოვი, სკკპ ცენტრალური ხარეიზიონ კომისიის წევრი, სკკპ კამჩატკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ი. კარიძი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ა. სკლიაროვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური სარეიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის / პირველი მოადგილე ო. გ. რახმანინი და სხვები.

აეროდრომზე გამცილებელთა შორის იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კვონ ჰი გენი.

# ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

**ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ** დღესასწაულის — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 27 წლისთავის აღსანიშნავად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ვო ფუკ დონგმა 1. სექტემბერს გამართა დარბაზობა.

საბჭოთა კავშირის მხრივ, დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზეროვი, პ. ნ. დემიჩევი და სხვ.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები.

დარბაზობის დროს ვო ფუკ დონგმა და კ. ტ. მაზეროვმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები. (სპეც. ინფ.).

2 სექტემბრის მოწინავე.

# ჩვენი ნავთობი

წლეულს ჩვენი ქვეყნის ნავთობისა და გაზის ახალი სამადოების ძებნა-ძიების სამუშაოებს ახორციელებენ. მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და პირნათლად ასრულებენ დასახულ გეგმებს.

ნავთობის. ამ ძვირფასი ნედლეულის მოპოვება მოამეება ბევრ ობიექტზე წარმოებს: პატარა შირაქში, ტარიბანაში, მირზაანში, საცხენისში, ნორიოში, სუფსაში და ჭალადიდში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუშაობის ძირითადი საქმიანობა უფრო პროდუქტიული საბადოების ძებნა-ძიებითი სამუშაოების განხორციელებით განსაზღვრება. ამიტომ საექსპლოატაციო ჭაბურღილების გაყვანა ერთგანაბი აღარ წარმოებს, ნავთობის მოპოვება ხდება ძველი ჭაბურღილებით. რომლითაც ექსპლოატაციის ასაკი 25-30 წელია-წადს აღწევს. მიმდინარე წლის 7 თვეში საქართველოს ნავთობის მომპოვებლებმა დამკვიდრებულად იმრომეს, გადაჭარბებით შეასრულეს ნავთობის მოპოვების, გადამუშავების, სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი, მიღებულია ათიოდ ათასობით მანეთი ზედგამითი მოგება.

უკანასკნელ წლებში დიდი სამუშაოები განახორციელეს ჩვენმა გეოლოგებმა. ძებნა-ძიებითი სამუშაოები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მრეწველობა მომდინარე ხუთწლედში ანალოგიურ სამუშაოებს დავიწყებთ სხვა იმედის მომცემ უბნებზეც, როგორიც არის სახარეთ-ტბა. წყაროსთავი, მირიკა, ლესა, განახლება და ოქუმი. ეს სამუშაოები ძირითადად 4-5 კილომეტრი საპროექტო სიღრმის ჭაბურღილებით განხორციელდებაჲ.

ბურღვის სამუშაოების შედეგების ანალიზს საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის ნავთობისა და გაზის მარაგების, აგრეთვე მოპოვების გაზრდა მომდინარე ხუთწლედში სწორედ ამ რაიონების ხარჯზე განხორციელდება.

წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის სწორი ორგანიზაციით, ღრმა ჭაბურღილების გაყვანის მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით ნავთობისა და გაზის მაძიებლებმა შეიღო თვის ღავალება გადაჭარბებით გაანალიზეს. ამასთან ბურღვის სიჩქარე შარშანდელთან შედარებით რაოდენობე ათეული მეტრით გაზარდეს და ტრესტმა დიდძალი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ ჩვენი კოლექტივი თავის დღესასწაულზე ჯილდოს გაწეული მუშაობის შედეგებს. ვალდებულებები, რომლებიც ცალკეულმა საწარმოებმა იკისრეს წარმატებით სრულდება, მათ შორის, ვინც თავი ისახელა სოციალისტურ შეჯიბრებაში, არიან: გაერთიანებული ნავთობსარეწი, წითელწყაროსა და კოლხეთის ღრმა-ბურღვის კანტორები და ცენტრალური მექანიკური სახელოსნის კოლექტივები. ყარგი მარვენებლები აქვთ აგრეთვე ავტოსატრანსპორტო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო კანტორის კოლექტივებს. ბრიგადებს შორის თავი ვამოიჩინეს ტარიბანის № 30, რუსთავის № 3, ჭალადიდის № 12 და № 16 ჭაბურღილების ბრიგადებმა, რომლებსაც ბურღვის ოსტატები ნ. ვოდორეანშვილი, ე. ცაბაური, მ. ბერიაშვილი და გ. ცხოვრებაძე ხელმძღვანელობენ.

გავიდა ზაფხული. ჩვენი კოლექტივისათვის ეს ნაყოფიერი შრომის პერიოდი იყო. ბევრი რამ გაკეთდა ამ დროში. შემოდგომის თვეებში ჩვეული ტემპით გაგრძელდება დაწყებული სამუშაოები, საქართველოს მენავთობეებს, მაძიებლებს, გეოლოგებს მიტად დიდი და სერიოზული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ დავალებანი პირნათლად შეასრულონ, ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

**ს. ხოსროშვილი.**
**„საქნავთის“ ტრესტის მმართველი.**

# ცისფერი ალის სიკეთე

საქართველოს სსრ „მთავარგაზის“ სამმართველოს გაზის მეურნეობებში შრომის ბევრი პოზიციები [illegible] „ბაკურიანი“, „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, № 2 ტრესტი „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, № 3 ტრესტი „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, № 4 ტრესტი „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, № 5 ტრესტი „ბორჯომი“, „ბაკურიანი“, № 6 ქალთა [illegible] „ბორჯომი“, „ბაკურიანი“ [illegible] სამმართველოს ზინინალმა ბ. ნავადსკიმ, „ხაჩრეგაზის“ სამმართველოს ზინინალმა ა. მეშვილიანმა, „აჭარგაზის“ სამმართველოს უფროსმა დისპეტჩერმა ა. ბუკიძემ, ტრესტ „სამხრეთოსეთგაზის“ მუშაკმა ზ. თადეგეშვილმა, „თბილგაზის“ სამმართველოს უფროსმა ოსტატმა გ. ჩოსელმა, „მთავარგაზის“ სარეგენტო-სამშენებლო ტრესტის ზეინკლმა ჯ. ივანიშვილმა და სხვებმა.

ახალ ხუთწლედში გაზიფიკატორები პასუხსაგები ამოცანების წინაშე ვდგავართ. გაზიფიცირებულ უნდა იქნას 392 ათასი ბინა, მათ შორის 199 ათასი სოფლად. საექსპლოატაციოდ უნდა გადაიცეს 530 კილომეტრი სიგრძის ქუჩის გაზგანმანაწილებელი ქსელი.

იღწიან რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრად, საქართველოს სსრ „მთავარგაზის“ მეურნეობებსა და საწარმოების კოლექტივებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებები 1972 წლისა და მე-9 ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესასრულებლად.

ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივი კვლავ ენერგიულად ებრძვის ამ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**გ. ბარიძოვი.**
**საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.**

# ამერიკის დღეს

## შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება

**ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკადესი). სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ კუანგჩის რაიონში გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები წარმატებით იგერიებენ საიგონის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების და მედესანტე პარაშუტისტების 20 ათასიანი დაჯგუფების ცდებს შეაღწიონ ქალაქის ცენტრში.**

დღის ხუთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც კუანგჩის რუხ ციტადელზე ალმოფრიალდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ალამი. მას შემდეგ პატრიოტებს მტკიცედ უპყრიათ ხელთ კონტროლი ქალაქისა და კუანგჩის პროვინციის მეტი ნაწილისადმი. პატრიოტები ფლობენ აგრეთვე ქალაქის ჰიუეს თავდაცვის სისტემას.

ქალაქ კიონშონის რაიონში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებმა ალყა შემოარტყეს საიგონის ჯარების ბატალიონს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მოახერხა ქალაქში შეღწევა. მოწინააღმდეგის დიდი ზარალი მოსდევს.

დაძაბული ბრძოლები გრძელდება საიგონის მახლობლად და ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში. ცენტრალური ვიეტნამის სანაპიროზე განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების არტილერიამ დღის მძლავრი ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგის პოზიციებს ქალაქ ტამკუანში. ქალაქის გარეუბნებში გაიმართა ბრძოლები.

**პანოი, 2 სექტემბერი. (საკადესი).** განთავისუფლების პრესის საინფორმაციო სააგენტომ აცნობა სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების სამხედრო მოქმედების შედეგები. ცნობაში აღინიშნულია, რომ შეუპოვარი ბრძოლების დროს სამხრეთ ვიეტნამის ყველა ძირითად რაიონში განთავისუფლების ძალებმა დახოცეს, დაჭრეს და ტყვედ წაასხეს მტრის 30.000-მდე ჯარისკაცი.

**პანოი, 2 სექტემბერი. (საკადესი).** ვიეტნამის სახალხო არმიის საპარტიზანო ძალებმა, რომლებიც იგერიებენ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის თავდასხმებს — 2-28 აგვისტოს ჩამოაგდეს 71 ამერიკული თვითმფრინავი.

ამრიგად, ოფუყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, ამ ბოლო ხუთი თვის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ ჩრდილოეთ ვიეტნამში დაკარგა სხვადასხვა ტიპის 420 თვითმფრინავი.

ამავე პერიოდში სანაპიროდ არტილერიამ დაახლოებით 70-ჯერ დაუბომბა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპიროს უშენდნენ ცეცხლს.

**პანოი, 2 სექტემბერი. (საკადესი).** 31 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დაბომბა ქალაქი ჰაიფონი და რესპუბლიკის ბევრი რაიონი.. „ბ-52“ ტიპის ბომბდამშენები თავს დაესხნენ კონგბინის პროვინციას და ვინლინის ზონას.

ამავე დროს ამერიკის სამხედრო ხომალდები ცეცხლს უშენენ ჰატინის პროვინციისა და ვინლინის ზონის სანაპირო რაიონებს.

სამოქალაქო მოსახლეობას შორის ბევრი დაიხოცა და დაიჭრა.

## ნორმალური ურთიერთობისათვის

ბონი, 2 სექტემბერი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანმა მ. კოლმა, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანთან ვ. ბართან აწარმოებს მოლაპარაკებას ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების შემუშავების თაობაზე, დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

ჩვენ ვესწრაფვით ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც სოლიდურ და მყარ საფუძველს შეუქმნის ჩვენს ურთიერთობას. საქმე ეხება იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ნორმალური საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდეს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა, მეტიც — ერთმანეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი წყობილება.

მ. კოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების შესაბამისად ბერლინ და ბონს შეეძლებინეს თანამშრომლობას ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, გარემოს დაცვის დარგში და სხვა საკითხებში.

მ. კოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბერლინ-ის მთავრობის აზრი, რომ ორივე რესპუბლიკას უნდა გაეკეთოს ელჩები, და არა „წმენენელენი“, როგორც ამას მოითხოვს დასავლეთ გერმანიის მხარე.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ არ ეთანხმება აზრს, თითქოს ორ რესპუბლიკას შორის არსებობდეს „განსაკუთრებული“ ურთიერთობა. „ჩვენ მხოლოდ გვსურს, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის დამყარდეს გონივრული ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისი ურთიერთობა, — განაცხადა მ. კოლმა. — აქ შეუძლებელია რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა, და ამის იღუნიები არავის არ უნდა ჰქონდეს“.

## სენატორის მოთხოვნა

**კარაკასი. 2 სექტემბერი. (საკადესი). ვენესუელიდან აშშ-ის სამხედრო მისიის განდევნა მოითხოვა სენატორმა ანხელ ბრიტო ვალენციელმა. ამ მისიის ყოფნა, თქვა მან, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.**

**მისიის ყოფნის ვადა, რომელიც შესაბამისი შეთანხმებებითაა დადგენილი, უკვე გავიდა. ამიტომ მისი ევენესუელაში ყოფნა უკანონოა.**

**სენატორმა აღნიშნა, რომ მისიის განდევნა სამართლიანი პასუხი იქნებოდა აშშ-ის მხედრიონის იმ განცხადებაზე, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ ვენესუელის ტერიტორიაზე ამოიყენონ პირბეცდები და დივერსანტები.**

# პაზები უნდა გაუქმდეს

**ტოკიო, 2 სექტემბერი. (საკადესი). „შეერთებულმა შტატებმა დიდძალი მომაკვდინებელი გაზი გადაზიდა სამხრეთ ვიეტნამში პიროსიმის პრეფექტურაში მდებარე ჰიროს მომარაგების ბაზიდან“. — ნათქვამია კომიტეტის ოპოზიციური პარტიის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში.**

ეს მოხსენება იაპონიაში ამერიკის სამხედრო ბაზების მდგომარეობის იმ მოკვლის თვის კვლევის შედეგია, რომელსაც აწარმოებდა პარტიის სპეციალური კომისია.

კომისიის წევრებმა დაადგინეს აგრეთვე, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები იაპონიაში დაკავშირებულია არა მარტო ვიეტნამის აგრესიულ ომთან, არამედ ნატოსთანაც. მაგალითად, 326 ტანკიდან და სამხედრო ავტომობილებიდან, რომლებიც მიმდინარე წლის იანვარ-იელისში შეიტვეს ქალაქ საგამიჰარას მახლობლად ამერიკის საგამის ზურგის ბაზაში, 203 ჩაიტანეს სამხრეთ ვიეტნამში, დანარჩენი კი ეკუთვნიან ნატოს ბაზებს დასავლეთ ევროპაში.

კომისიის წევრებმ ა. კუროიანაგი და კ. ონო — პარლამენტის დეპუტატები კომეტოს პარტიისაგან — გუშინ შეხვდნენ მინისტრთა კაბინეტის გენერალურ მდივანს ს. ნაკაიდოს და დადასტურეს საპროტესტო განცხადება მთავრობისადმი.

„იაპონიის კონსტიტუციასა და ოკინავაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზები, — აღნიშნულია განცხადებაში, — რომლებიც სამხედრო ტექნიკის მომარაგებისა და რემონტის ზურგის ბაზებია, ყოველმხრივ არიან დაკავშირებული ვიეტნამის ომთან“.

განცხადებაში გამოთქმულია მოწოდება, რომ პრემიერ-მინისტრმა ამერიკას მოსთხოვოს, რომ შეწყვიტოს იაპონიაში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების ბაზების გამოყენება ვიეტნამის ომისათვის. კომეტოს პარტია მოითხოვს აგრესიული ომის შეწყვეტას ვიეტნამში და ინდოჩინეთიდან ამერიკის ჯარების სრულ გაყვანას.

## მათი „მეთოდები“

**საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ახალი ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს.**

**საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ახალი ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს.**

გაზეთმა „ლოს-ანჯელეს ტაიმსმა“ გამოაცხადა, რომ 1971 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს წარუდგინეს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციაში საუბრებისადმი საიდუმლო მიკრუფადების ორგანიზაციის გეგმა, ვინაიდან სწორედ ამ გაზეთმა გამოაქვეყნა პირველად პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც შექმნეს ფენენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის ვიეტნამში.

გეგმის ავტორი იყო ვინმე გორდონ ლიდი, რომელიც ერთ ხანს ოფერ სახლში მუშაობდა, შემდეგ კი პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტში შეიყოდა.

ლიდი მიაჩნიათ ეენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ აგენტთა იმ ცდის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად, რომ მიმდინარ ე ელის ივნისში დაედგათ მისაყურადებელი ბარაგრაფი და გადაეოთ კონფიდენციალური დოკუმენტები დემოკრატიული პარტიის ვაშინგტონის შტაბ-ბინაში.

მას შემდეგ, რაც ლიდიმ უარი განაცხადა ჩვენებანი მიეცა ამ საქმის გარემოებათა გასამძიღებელ ხელისუფალთათვის, რესპუბლიკელმა ლიდერებმა ამჯობინეს ჩამოეშორებინათ იგი კომიტეტში მუშაობისაგან.

საგულისხმოა, რომ ლიდიმ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციაში საუბრებისადმი მიკუროფონების ორგანიზაციის თავისი გეგმა წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს. მინაგანი ეშმაკობებისა ვანყოფილებამ, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა რობერტ მარდიანი.

სწორედ ეს მარდიანი მუშაობდა შემდგომ ლიდისთან ერთად პრეზიდენტის ხელახლა არჩევის კომიტეტში და, როგორც პრესა იუწყება, ახლა დაკავშირებულია დემოკრატთა შტაბ-ბინასადმი მიკუროფონების დაწესების ცდასთან. (საკადესი).

## წყალდიდობა ინდოეთში

**ამ ბოლო ორი კვირის მანძილზე მეორედ დაატყდა თავს წყალდიდობა ინდოეთის მადასის პრადეშის შტატის ჩრდილოეთ რაიონებს.**

**მუსონური წვიმებისა და მათ მიერ გამოწვეული დელნარეთა ადიდების შედეგად შტატის დიდი ტერიტორიები დაიტბორა. დატბორილი რაიონებიდან გახიზნეს 100.000-ზე მეტი მცხოვრები.**

**(საკადესი).**

## ბაკვშვები შიმშილობენ

**ავსტრალიის პრესა ხშირად წერს მეექვსე კონტინენტის მკვიდრი მცხოვრებლების ლტაკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, ამ დღეებში გამოქვეყნდა ახალი ფაქტები ავსტრალიის ქოლონიის პაპუას მდგომარეობის შესახებ.**

**პაპუას ვრების პალატის წევრმა ქოზეფინა ამაიკამ განაცხადა, რომ პორტ-მორსბის — ამ ქოლონიის ადმინისტრაციული ცენტრის ბევრ ოჯახს არა აქვს საარსებო საშუალება, რის შედეგადაც ბავშვების 34 პროცენტი შიმშილობს. (საკადესი).**



# ზღვის ოთოთაბარენი

**მერგუის კუნძულები (ბირმა) თავშესაფარს წარმოადგენს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად თავისებური ხალხის მოკენებისათვის. არქაული სოციალური სტრუქტურა, შრომის პრიმიტიული იარაღები, თანამედროვეობისაგან სრული იზოლაცია საშუალებას არ აძლევს მოკენებს თავი დაადწიონ მოხერხებული ვაჭრებისა და კონტრაბანდისტების სასტიკ ექსპლოატაციას.**

**მეთვრამეტე საუკუნის შუამდე არქიპელაგი (ტერიტორია 3,5 ათასი კვადრატული კილომეტრი) გაფფრებული ბრძოლების ასპარეზი იყო ბირმასა და სიამის მცხოვრებთა შორის. 1700 წლიდან იგი ბირმას ეკუთვნის.**

**ვბეჭდავთ პარიზის ყოველთვიურ გეოგრაფიულ ილუსტრირებულ ჟურნალ „ატლასში“ გამოქვეყნებულ სტატიას ამ კუნძულებზე მოგზაურობის შესახებ, რომელიც პიერ ივანოვს ეკუთვნის.**

□ □

ინდოეთის ოკეანეს აღმოსავლეთ ნაწილში, ანდამანის ზღვაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია მერგუის არქიპელაგი. ვერცერთ მობინადრეს ვერ შეხვდებით ამ მიწაზე. არქიპელაგი 200-ზე მეტ კუნძულს ითვლის და ყველა ისინი უკაცრიელია.

მეცხრამეტე საუკუნის დოკუმენტებში ხაინტერესო ცნობებია ამოკრეფა შეიძლება მერგუის კუნძულების შესახებ. 1828 წელს ვინმე უოლტერ გამილტონი წერდა, რომ ამ განდეგებში ცხოვრობს უცნაური მოხეტიალე ტომი. საუკუნის შემდეგ, 1936 წელს ერთი ანთროპოლოგი, რომელიც ბირმაში იყო, იტყობინებოდა: „ადამიანები, რომლებზეც საუბარი გვაქვს, თავიანთ თავს მოკენებს უწოდებენ. ისინი როგორც წესი ცხოვრობენ ნავებზე და ყოველნაირად ედილობენ თავი დაადწიონ უცხოელთან შეხვედრას. წვიმების სეზონის დროს მიუვარდნილ ადგილებში აწყობენ ნავების თავშესაფარს და ეს პრაქტიკულად ერთადერთი პერიოდია როდესაც შეიძლება მათ შეხვედე“.

თითოოროლა მოგზაურისაგან შეგროვებულმა დარბმა ცნობებმა ანთროპოლოგთა შორის მერგუის მომთაბარეთა წარმოშობაზე ქიპოთეზა წარმოშვეს, რომლის მიხედვით მოკენები იმ ტომის ტომების შთამომავალნი არიან, ოდესღაც აზიის კონტინენტზე რომ სახლობდნენ. მშობლიური ადგილებიდან მეომარი ტომების მიერ განდევნის შემდეგ მოკენებმა ისინი ზღვის მაწანწალები გახდნენ. თუმცა ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ზღვაში მომთაბარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის ბუნებრივი მოვლენაა.

მინდოდა მეტი გამეგო მოკენების შესახებ და ამიტომ ჩემი წინამორბედების საწინააღმდეგო გზას დავადექი — გადავწყვიტე არქიპელაგზე ხანმრთელად შემეფინა, ნირჩევი ვაჭრების შუამდგომლობის გარეშე და მშობელი სიწინის დასაწყისში, როდესაც მოკენები ღია ზღვაში გადიან, ბალელი კონტრაბანდისტებისაგან შეეფიჭა, რომ ანდამანის ზღვის ამ ნაწილში უკვე ათი წელია არ გამოჩენილა არც ერთი უცხოელი, რომ მომთაბარენი უწინდებურად დაეხეტებიან არქიპელაგის წყლებში; აგრთვებენ მარგალიტის ნიჭარებს, იკვებებიან მოლუსკებით და გაურბიან უცნობ გემებთან შეხვედრას (ამ ადგილებში მოქმედი მეკობრენი ხშირად ატაკებენ მოკენების ნავებს და ტვირთს ითვისებენ).

როდესაც პირველად მივუახლოვდი კუნძულს, სადაც მოკენები იყვნენ გაჩერებულნი, ჩემი დანახვისას ისინი გაიქნენ. ერთნი წყალში ყინთავდნენ, მეორენი ტყეში იმალებოდნენ, კონტაქტის დამყარების დიდი ხნის მეცადინეობის შედეგ მოკენებმა როგორც იქნა უფლება მომეცეს მათ გვერდით დავრჩენილიყავი, მაგრამ ღამით უხმაროდ გავიპარენენ და იძულებული ვიყავი ჩემი მოგზაურობა ნავით გამოვეგენებოდი უკან. თანდათან, როდესაც დარწმუნდნენ კეთილგანწყობაში, მათ აღარ ეშინოდათ ჩემი.

ერთ თვეზე მეტი ხნის მანძილზე ვიზიარებდი მათთან ერთად მომთაბარე ცხოვრების სიძნელეებს, დროს ვატარებდი „კანანგაში“ — „მეცრავ სოფელში“. თვითეული ასეთი „სოფელი“ 7-10 ნავისაგან შედგება. ორი „სოფელი“ არასოდეს არ ერთიანდება.

თუ შემთხვევით მოკენების ორი ჯგუფი ერთ ნაპირზე გაჩნდება, ისინი ყოველნაირად გაურბინან ერთმანეთს.

ერთხელ დაბინდებისას ღუზა ქვიშიან ნაპირთან ჩავუშვით. დილით ქალები მიწის მაგლეზის საძებნელად გაეშურნენ. ისინი პატარა ჯოხებით ჩიჩქნიდნენ ქვიშაში მრავალრიცხოვან ღრმულებს და როცა ზოგიერთი მათგანში მაგლეს მიაგნებდნენ, ჯოხით მიაჭიერდნენ მაგლეს მიწას და სწრაფად თხრიდნენ ქვიშას, ვიდრე არ მიაღწევდნენ ნადავლამდე.

შუადღის მოახლოებისას ქალებმა მოლუსკების შეგროვება დაიწყეს, რომელიც მოქცევის ტალღებმა დატოვეს ნაპირზე. ზოგჯერ მოწრდილ ეგზემპლარებს პოულობდნენ. მოლუსკები — ზღვის მომთაბარეობის ძირითადი საკვები პროდუქტია.

ნავებით ხეტიალისას მოკენები ყურადღებით აფვლებენ თვალს, თუ როდის გამოჩნდება წყლის ზედაპირზე გიგანტური სკაროსი. როგორც კი ვინმე შენიშნავს ზღვის ამ ურჩხულს, მთელი „სოფელი“ საგულდაგულოდ ემზადება ნადირობისათვის.

ერთი მოკენი კიჩოზე დგას და ხელის აღმართვით იძლევა ნიშანს. მაშინვე ეძვერება სკაროსს 7-8 ბარჯი. შემდეგ მოპოვებულ ნადავლს ულოლიფი ნაპირისაკენ მიათრევენ ბუქსირით, სადაც ნაჭრებად აცალკევებენ და მზეზე აშრობენ.

მოკენები არ სარგებლობენ არც ცივცხლმსროლელი იარაღით, არც მეგანცლებით. ამ მაგისტრალიდან სარ[illegible] რი ძალებით ავაშენეთ [illegible] ტორიდან ცხინვალისაკენ, [illegible] მეშვეობით ბუნებრივი გა[illegible] სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი [illegible] ლებმა.

აშკამად გაზის მისაღებად მოსამზადებელი სამ.ნტაჟო-სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ავარაში, სიღნაღსა და სურამში, რომლებიც ჭელს მიიღებენ ბუნებრივ გაზს, ხოლო ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისსა და ფაღატუბოში — 1973-1974 წლებში.

აღმავლობით შრომობენ ჩვენი მეურნეობები ახალი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. მიმდინარე წლის 7 თვის დავალებათა ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით შესრულდა: გაზიფიცირებულია 44,4 ათასი ბინა ნაცვლად 42,6 ათასისა, მათ შორის სოფლად 27 ათასი ბინა, ანუ 21,6 ათასს ითვალისწინებდა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 50 კილომეტრი გაზის ქსელი ნაცვლად 34 კილომეტრისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია № 1 ტრესტის „ოქუბულგაზის“ კოლექტივის წარმატებები, რომელმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი და მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა (ტრესტის მმართველი ა. სოლომონია, პარტბიუროს მდივანი ბ. ჯანელიძე და ადგილ.ომის თავმჯდომარე ა. ლეონოვა). მოწინავეთა რიგებშია: № 2 ტრესტი „ბურჯაგაზის“, „აფხაზგაზის“, „საქორგაზის“ „აჭარგაზის“ სამმართველოების, № 9 ტრესტ „ფოთიგაზის“, № 10 ტრესტ „საბურთალოგაზის“ და სხვა კოლექტივები.

საქართველოს სსრ „მთავარგაზის“ სამმართველოს გაზის მეურნეობებში შრომის ბევრი მოწინავე მუშაკი [illegible] „ბორჯომი“, „ბაკურიანი“ [illegible] „ბორჯომი“, „ბაკურიანი“ [illegible] „ბორჯომი“, „ბაკურიანი“

# მორეული პლანეტებისაკენ

ბუნებაში ადამიანის პირველი გაფრენის მეთხუთმეტე წლისთავზე საბჭოთა მეცნიერებას შეუფლია ბუკინოს დიდი გამარჯვებები სამყაროს მეცნიერული და ტექნიკური ათვისების დარგში. უკანასკნელი თვეების მანძილზე შესრულებული ექსპერიმენტები — ავტომატური „მარს-2“ და „მარს-3“ სადგურების ფრონა პლანეტა მარსის ირგვლივ, „ლუნა-20“-ის მიერ მოტანილი მთვარის ქანის ნიმუშები, „ვენერა-8“-ის გაშვება პლანეტა ვენერასაკენ ამის თვალნათლივი დადასტურებაა.

კოსმოსური ტექნიკის განვითარების ეტაპდეტალ ადამიანს საშუალება მიეცემა სულ უფრო და უფრო ღრმად შეიჭრას სივრცეში; სამყაროს უფრო შორეულ უბნებში გაგზავნოს ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურები.

გაიფლის ეოტაოდენი დრო. და დადგება შორეული პლანეტების უშუალოდ შესწავლის რიგიც. ასეთი შორეული მოგზაურობის მოშზადება მიზად რთული პრობლემების წინაშე აყენებს კონსტრუქტორებს. ვიდრე დანიშნულების პუნქტს მიაღწევდეს, საპლანეტათშორისო სადგურს მოუხდება მილიარდობით კილომეტრის გადალახვა, რასაც რამდენიმე წელი დასჭირდება. მაგალითად მზის სისტემის მერვე პლანეტამდე (ნეპტუნამდე) მიღწევას 30 წელი მოუნდება. საჭიროა იქნება მთელი ამ დროის განმავლობაში კოსმოსური ხომალდის ურთულესი აპარატურის ყველა რგოლის შეუფერხებელი მუშაობისა და რადიო-სატელევიზიო კავშირის უწრეტნველყოფა არაჩვეულებრივად დიდ მანძილებზე. ყოველივე ამას დავუმატოთ ისიც, რომ ასეთ სიშორეზე საპლანეტათშორისო სადგურს მზის გამოსხივება ადარ გამოადგება ენერგიით კვების წყაროდ (სინათლის ნაკადის საერნოლოდ შესუსტების გამო). ამასთან. დედამიწიდან მიეცემული ბრძანებების საშუალებით ხომალდის მართვა დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. საკმარისია აღინიშნოს. რომ ასეთი ბრძანება იუპიტერის მახლობლად მყოფ სადგურს ნახევარი საათის დაგვიანებით მიაღწევს, სატურნისათვის ეს ვადა ერთ საათს გადააჭარბებს. ხოლო ურანის, ნეპტუნის ან პლუტონისათვის იგი შესაბამისად გაიზრდება ორ, ოთხ ან ხუთ საათამდეც. კი. ასეთი დრო დასჭირდებათ რადიოტალღებს კოსმოსისათვის დამახასიათებელი უზარმაზარი მანძილების გადასალახავად.

ადვილად მისახვედრია. თუ რა ძნელ პირობებში მოუხდება მართვა დედამიწიდან კოსმოსურ ხომალდს, რომელიც ასე შორსაა და ამახთანავე წამში რამდენიმე კილომეტრის სიჩქარით მიაქრის სივრცეში!

კონსტრუქტორთა წინაშე წამოჭრილი სიძნელეები და დიდი ხარჯები აიძულებს მეცნიერებსა და ტექნიკოსებს ეძიონ საშუალებანი შორეულ პლანეტებამდე მიღწევისათვის საჭირო დროის შესამცირებლად. ცხადია, საქმე ფრიად გაადვილდება, ერთი ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურით რომ მოხერხდეს რამდენიმე პლანეტის თანმიმდევრობით გამოკვლევა. რა გზით და რა დროს უნდა გაიგზავნოს აპარატი ამ დანიშნულებით?

ცის მექანიკის კანონები მთელ რიგ შეზღუდვებს ადებს ხელოვნური კოსმოსური სხეულების სტარტის ვადებს: ენერგეტიკისა და ეკონომიის ოპტიმალური პირობების დაცვით მათი გაშვება შესაძლებელია მხოლოდ პლანეტების თავიანთ ორბიტებზე ჯეროვანი განლაგების შემთხვევაში.

მატარებელი რაკეტა მაქსიმალური რაოდენობის სასარგებლო ტვირთის წაღებას შეძლებს და გზის გადალახვასაც მინიმალურ დროს მოანდომებს იმ შემთხვევაში, თუ მისი ორბიტა წარმოადგენს ელიფსს, რომელიც როგორც დედამიწის, ისე მიხალწევი პლანეტის ორბიტის მხებად გაივლის.

ცხადია, სტარტი უნდა მოხდეს იმ მომენტში, როცა დედამიწა იქნება შეხების ერთ-ერთ წერტილში, ხოლო ფინიშის მომენტისათვის მოგზაურობის მიზანმა — პლანეტამ შეხების მეორე წერტილს უნდა მიაღწიოს.

ასეთი, გასაფრენად ხელსაყრელი, სიტუაცია ყოველი პლანეტისათვის პერიოდულად შეიქმნება ხოლმე და გრძელდება დაახლოებით ერთი თვის მანძილზე. იუპიტერისათვის, მაგალითად. ამგვარი „სასტარტო სარკმელი“ 1973 წლის აპრილში განხორციელდება. შემდეგ განმეორდება ყოველი 13 თვის (უფრო ზუსტად 399 დღეღამის) შემდეგ.

აღნიშნული პერიოდები უფრო შორეული პლანეტებისათვის 366-378 დღე-ღამის შეადგენს, ხოლო ჩვენი უახლოესი მეზობლები — ვენერა და მარსი შედარებით იშვიათად (შესაბამისად 19 და 25-26 თვეში ერთხელ) „გვანებებიერებენ“ ცაზე ხელსაყრელი განლაგებით; 1972 წელს ვერც ერთი კოსმოსური ხომალდი ვერ მოახერხებს მარსისაკენ სტარტის აღებას ოპტიმალურ პირობებში.

სამოცდაათიანი წლების დამლევს მოხდება ისეთი უშორესი პლანეტა (იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი) ისე განლაგდება, რომ შესაძლებელი გახდება, დედამიწიდან გაშვებულმა ერთმა სადგურმა თანმიმდევრობით ჩაეაროს რამდენიმე მათგანს. თუ სტარტი დედამიწიდან შესრულებული იქნება მთელი რიგი პირობების დაცვით, ყოველი შემხვედრი პლანეტა თავიანი მიზიდულობის ძალის გავლენით არა მარტო მიმართავს საპლანეტათშორისო სადგურს შემდეგი პლანეტისაკენ, არამედ თვითონ მიანჭვებს მას დამატებით სიჩქარესაც; ასე რომ არც იქნება საჭირო აპარატის ასაჩქარებლად საწვავის გამოყენება.

რამდენიმე შორეული პლანეტის მახლობლად თანმიმდევრობით ჩავლის პროგრამა, რომლის გარშემო ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში მსჯელობა მიმდინარეობს. ცნობილია სახელწოდებით „დიდი ტური“. შესაძლებელია მისი განხორციელება სამ ვარიანტად.

პირველი ვარიანტი ითვალისწინებს ოთხი პლანეტის — იუპიტერის, სატურნის, ურანის და ნეპტუნის — გამოკვლევას. ამ პროექტის განხორციელება შესაძლო იქნება 1976-78 წლებში.

მეორე ვარიანტი იუპიტერის, ურანისა და ნეპტუნის გამოკვლევას ვარაუდობს; ამ ვარიანტის თანახმად, ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის სტარტი 1978-80 წლებზე მოდის.

მესამე ვარიანტის მიხედვით საპლანეტათშორისო სადგური ჩაუვლის რა იუპიტერსა და სატურნს. პირდაპირ მზის სისტემის ყველაზე შორეული პლანეტისაკენ — პლუტონისაკენ გაეშურება. ეს ვარიანტი შეიძლება განხორციელდეს 1977 ან 1978 წელს.

აღნიშნული მარშრუტით მოძრაობის შემთხვევაში, მაგალითად, 1977 წლის სექტემბრის პირველ დღეებში გაშვებული სადგური იუპიტერის მიდამოს მიაღწევს 1979 წლის 28 ივნისს, სატურნს ჩაუვლის 1980 წლის 30 სექტემბერს, ურანთან 1984 წლის 1 ოქტომბერს, ბოლო ნეპტუნთან [illegible] [illegible] [illegible]

ა.ს.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТР имени А.С.ГРИБОЕДОВА

ᲐᲮᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ, ᲐᲮᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

# ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ

ᲙᲘᲓᲔᲕ რამდენიმე კვირა, და ჩვენი რესპუბლიკის თეატრები კარს გაუღებენ თავიანთ მაყურებლებს. დაიწყება ახალი თეატრალური სეზონი. წელს პირველობა გრიბოედოველებს ეკუთვნით. 1972-73 წლის სეზონს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი 3 სექტემბერს გაიხსნის, წარმოდგენილი იქნება ა. არბუზოვის „ამ საყვარელ, ძველ სახლში“.

ახალ სეზონზე, თეატრის უახლეს და პერსპექტიულ გეგმებზე ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს ვ. მარდალეიშვილს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:

— ᲡᲐᲮᲚᲐᲛ ახალ სეზონზე მოგახსენებდეთ, — თქვა გ. ლორთქიფანიძემ, — მინდა უურადღება შეგაჩერო იმ ფაქტზე, რომ განვლილი სეზონი ჩვენი თეატრისათვის ურიგო არ ყოფილა. პირიქით, გაწვახორციელეთ შვიდი ახალი დადგმა. ესენი იყო როგორც თანამედროვე რუსული ავტორების პიესები, ისე რუსული კლასიკური დრამატურგია.

ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. სხვებს არც ჩვენ ჩამოვრჩენილვართ. გასულ სეზონში სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა თეატრმა თავისი სამი წარმოდგენა. ესტონელი დრამატურგის ა. კაუგვერის „საკუთარი კუნძული“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“ და ბელორუსი მწერლის ნ. მატუკოვსკის სატირული კომედია „ამნისტია“.

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ამავე თარიღს უძღვნის ამჟამად თეატრი ა. აბშილავის ჰეროიკულ პოემას „კავკასიის მთები“. ნაწარმოები ასახავს საბჭოთა მეომრების გმირობასა და თაფლადებას დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ, მარუხის უღელტეხილის დაცვას. „კავკასიის მთები“ უნდა დადგას ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. პაქსაშვილმა.

პარალელურად მომდინარეობს მუშაობა მოსკოველი დრამატურგის ა. სიმუკოვის კომედიაზე „აწველიერი მოსალოდნელია“.

ახლა ნება მიბოძეთ პირადი გეგმებიც გაგაცნოთ. ახალ სეზონში განზრახულია მაქვს დავდგა რუსული კლასიკური დრამატურგიის ორი შედევრი — ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და ა. ჩეხოვის დრამა „ივანოვი“.

ახალი სეზონის პერსპექტიულ გეგმაში გვაქვს ა. კრისტის ცხობილი დეტექტივის „ბრალდების მოწმის“. განხორციელება. ამ პიესის დადგმაზე იმუშავებს ჩვენი თეატრის მსახიობი და რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. პიასეცკი. განზრახული გვაქვს აგრეთვე რომელიმე ქართველი დრამატურგის პიესის განხორციელებაც.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1974 წლის ზაფხულისათვის დაგეგმილია გრიბოედოველთა გასტროლები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს პასუხსაგებიც. თეატრის მთელი კოლექტივი შეეცდება, რომ მოსკოველ მაყურებელს უჩვენოს ყველაზე საუკეთესო, რაც შეუქმნია და რაც მანამდე შეუქმნია. ერთი სიტყვით, გეგმებიც ბევრისად გვაქვს. ჩვენ არაფერს დავიშურებთ მათი განხორციელებისათვის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაგაცნო „კომეხნისტის“ საშუალებით რესპუბლიკის თეატრებს, მაყურებლებს მიეცალოთ ახალი 1972-73 წლის სეზონი. ეჭვი არ არის, რომ იგი მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება საქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში.

ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

## ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲘᲕᲘᲡᲘ

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ სახელობის მაღი გადაიქცა დედაქალაქის კალინინის რაიონის მუშენებად. პარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით აქ გაკეთდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების ბეივანი. აქ სტენდზე გამოფენილ სურათებზე წარმოდგენილი არიან შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ — პოეტი აკადემიკოსი, ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲘᲚᲘ — მოქანდაკე, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ — მწერალი აკადემიკოსი, ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მხატვარი, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲫᲐᲜᲘ — პოეტი, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲗᲘᲮᲝᲜᲝᲕᲘᲩ — პოეტი, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲜᲩᲘᲪᲐᲫᲔ — კომპოზიტორი, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — არქიტექტორი, ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ — საქართველოს სახალხო პოეტი, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ — მწერალი, ᲐᲠᲩᲘᲚ ᲮᲣᲚᲐᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ — პოეტი, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ — კომპოზიტორი, ᲔᲚᲘᲜᲔ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ — მხატვარი, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲒᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ᲡᲔᲠᲒᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲫᲔ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ — რეჟისორი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატების ბეივანი.

Ხ. ᲞᲘᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ამავე თარიღს უძღვნის ამჟამად თეატრი ა. აბშილავის ჰეროიკულ პოემას „კავკასიის მთები“. ნაწარმოები ასახავს საბჭოთა მეომრების გმირობასა და თაფლადებას დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ, მარუხის უღელტეხილის დაცვას. „კავკასიის მთები“ უნდა დადგას ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. პაქსაშვილმა.

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

**„ᲝᲩᲠᲝᲡ შედალი საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა“ — ასეთი სათაურით აქვეყნებენ იაპონური „ასახი“ და სხვა გაზეთები ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 22 წლის გორელმა მოჭიდავემ შოთა ჩოჩიშვილმა პირველად საბჭოთა სპორტსმენებს შორის გაიმარჯვა ძიუ-დოში ოლიმპიურ ასპარეზობაზე. ინფორმაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ოქროს შედალი მოიპოვა სპორტსმენმა, რომელიც კარგად იცნობს ხამბოს.**

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** მოსკოვის „ტორპედოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ მატჩით განაახლა სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ასპარეზობის შედეგია 3:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

**ᲓᲦᲔᲡ** უნდა გაიმართოს კიდევ ოთხი შეხვედრა. კიევში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონება უმასპინძლებენ გათამაშების ლიდერს ვორონეჟელოგრადის „ზარიას“; მინსკში „დინამო“ ხვდება ალმა-ათის „კაირატს“, ლგოვის „კარპატი“ ლენინგრადის „ზენიტს“ ეწვევა, ხოლო ერევნის „არარატი“ — მოსკოვის „ლოკომოტივს“.

## ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ — ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ

**2 სექტემბერს** (მაშინ, როცა ჩვენთან უკვე 3 სექტემბერი იყო) კანადაში პირველად სპორტის ისტორიაში ყინულზე ერთმანეთს შეხვდნენ ჰოკეის სამშობლოს პროფესიონალი წარმომადგენლები და მოყვარულთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები.

ამ მატჩის ნახვა ტელევიზიით ჩვენს მკითხველებს შეუძლიათ დღის 11 საათზე თბილისის დროით.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ᲒᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ყარაგანდაში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი. გამარჯვება ხვდათ შემდეგ ნომრებს: 13 (საწყლოსნო-სამოტორო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 23 (მძლეოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 35 (სპიდვეი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

ცნობილი გახდა, რომ კიეველი მახსწავლებელი ქალის ლ. ᲛᲔᲚᲜᲘᲩᲔᲜᲙᲝᲡ „რეკორდი“ „სპორტლოტოს“ მოგებებში (10.926 მანეთი) „მოხსნა“ ლენინგრადელმა Ი. ᲮᲛᲔᲚᲝᲜᲝᲕᲐᲛ, რომელმაც გათამაშებაში 15.600 მანეთი მოიგო, მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე დღე, და გამოჩნდა ახალი „ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ რეკორდსმენი“ — რიგელი მძღოლი Ო. ᲡᲢᲐᲚᲔᲠᲘ, რომელმაც ერთნაირად შეავსო ექვსი ბილეთი და მოიგო 18720 მანეთი.

**Ი. ᲚᲝᲒᲘᲜᲝᲕᲘ,**
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს თანამშრომელი.

ᲒᲘᲠᲬᲒᲘᲠᲬᲔᲑᲚ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ

# ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ — ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ

*ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ, ᲓᲦᲔ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ □ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ — 3. ᲑᲝᲠᲖᲝᲕᲘ □ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲐᲜᲛᲝᲕᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲝᲥᲠᲝ □ ᲨᲝᲗᲐ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ*

მიუნხენი, 1 სექტემბერი, (საკუთარი). სიჩუმე, რომლითაც მოცულია ბავარიუკის ოლიმპიური სპორტული ეთი (როგორ სპორტსმენები ისვრიან, მათ არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს), უეცრად დაარღვია სტადიონად წარმოშობილმა ოვაციამ და სპორტული ფეიერვერკი, რომელიც აქ მწვანე კოსტიუმებში არიან გამოწყობილი, მხოლოდ იღიმიდნენ. გარეგობა მართლაც რომ დანაშაულის შემამსუბუქებელი იყო: 1 სექტემბერს შუადღისას მაყურებლები და სპორტსმენები მიისალმნენ პირველი ოლიმპიურ ჩემპიონს „ვაქციეთ ტაბუ“ სროლაში — ოლე